№ 86. 28 აპრილი, სამშაბათი. 1866—1881 28 აპრილი, სამშაბათი. № 86.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ნილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილად დაბეჭდილი ასოზე ნახევარი კაპ.; ...ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ს ა ვ ა ჭ რ ო  ს ა ხ ლ ი

## ძმათა კ. და ს. პოპოვებისა

მ ო ს კ ო ვ შ ი

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (5—3)

## ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ბათუმი**, 27 აპრილს. დღეს ღამას პირველ საათზე გადიწვა ბეჟან-ოღლის შენობა და ბაღის მახლობლად ყველა სახლები და მაღაზიები. დიდი ზარალია.

საერთა-შორის ტელეგრ სააგენტოსი

**ლონდონი**, 25 აპრილს. გუშინ ჩესტერში განიზრახეს ყაზარმის აფეთქება, რომელშიაც მილიცია იყო მოგროვილი. არც შენობასა და არც ხალხს არავითარი ზარალი არ მისცემია. ამ გვარივე საქმე მოახდინეს აგრეთვე ულვერგემპტონის თოფხანაში, მაგრამ არც აქ არავითარი მარცხი არ მომხდარა. ამას გარდა ლესტმიტის საგრაფოში, ირლანდიაში, გუშინ დააქციეს დინამიტით რკინის გზის შენობები.

**პეტერბურღი**, 26 აპრილს (ოფიციალურად). ღენერალი ხორვატოვიჩი დაინიშნა სერბიის ელჩად პეტერბურღში.

**პარიჟი**, 26 აპრილს. საზოგადო ტარიფის გამოცხადებას 8 მაისისთვის მოელიან; ამავე დღეს გამოცხადებული იქნება ყველა სავაჭრო პირობების მოსპობა.

**ლონდონი**, 23 აპრილს. საზოგადოებათა პალატის სხდომაზედ კარკორტმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: ავსტრიაში სოციალისტების დატუსაღებას არავითარი კავშირი არა აქვს მოსტის დატუსაღებასთან და ჩვენის პოლიციისაგან მოგროვილ ცნობებთან. მე არასოდეს არ მიმაჩნდა უმნიშვნელო და უბრალო საქმედ ის შეთქმულობანი, რომელთაც კაცის-მკვლელობის განზრახვა აქვსთ; პოლიტიკური მიზანი ამ გვარ საქმეში ვერავის გაამართლებს; რა მიზნითაც უნდა იყოს, მკვლელობა ყოველთვის მკვლელობად უნდა ჩაითვალოს. თუ ინგლისის პოლიცია შეიტყობს, რომ ვისმე განზრახვა აქვს კაცის-მკვლელობისა, უბრალო კაცისა ანუ მეფისა, ის (პოლიცია)ვალდებულია თავის ღონის-მიება იხმაროს, რომ ამ გვარ განზრახვას შესრულების საშუალება მოუსპოს; ამასვე მოველით ჩვენ სხვა აგნათლებულ სახელმწიფოებისაგან, თუ ვინმე ჩვენის კოროლევის ანუ უბრალო მოქალაქის სიკვდილს განიზრახავს. რაც სხვისთვის ვალდებულია, ვალდებულიც უნდა იყვეს ჩვენთვისაც.

გლადსტონმა გამოაცხადა, ორშაბათს შემოიტანს წინადადებას, რომ ახლად-მიცვალებულს ლორდს ბიკონსფილდს ძეგლი აუგოთ ვესტმინსტერის სააბატოში.

## თფილისის სააზნაურო ბანკის კრება

26 აპრილს.

კრება გაიხსნა მეთორმეტე საათის ნახევარზე. დაესწრო სულ 55 მეკენჭე-ბანკის დამაარსებელი.

თავმჯდომარედ არის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე კ. ქ. მამაცაშვილი.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თ. ილ. გრ. ჭავჭავაძემ წაიკითხა გასულ 1880 წლის ბანკის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამ ანგარიშიდამ ვსცანით, რომ გასულ წელს ერთობ მცირე ოპერაციები ჰქონია ბანკს, ერთობ ცოტა ფული გაუსესხებია, სულ გაუცია 112,100 მანეთის გრძელ-ვადიანი სესხი და 28,700 მან. მოკლე-ვადიანი. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ შარშანწინ 1879 ოქტომბერშივე გაუცია გამგეობას თითქმის სულ ის ჯამი სესხისა (ე. ი. 1,600,000 მანეთის), რომლისაც გირაოს ფურცლების გამოცემის უფლებას აძლევდა მას ბანკის წესდება და მას შემდეგ ბანკი თითქმის უსაქმოდ იყო დარჩენილი. ამის გამო გამგეობამ მაშინვე შეადგინა ბანკის წესდების ცვლილების ისეთი პროექტი, რომელიც მისცემდა მას უფლებას, რომ რამდენიც დასჭირდებოდა, იმდენი გირაოს ფურცლები გამოეცა და ამნაირად სესხის ამღების მსურველნი დაეკმაყოფილებინა. ეს პროექტი იყო დაგირავებულ მამულთა ურთი-ერთისათვის პასუხის-გება, რომელიც ბანკის საზოგადო კრებამ უკვე დაამტკიცა 1879 წ. 25 ნოემბერს და შემდეგ წარედგინა დასამტკიცებლად ფინანსთ მინისტრს, რომლისგანაც თანხმობა მოვიდა წელს თებერვალში.

ამ ახალი ცვლილების ძალით თფილისის სააზნაურო ბანკს უფლება მიენიჭა, მთელს კავკასიის მხარეზე გაავრცელოს თავის მოქმედება, ესე იგი ყველა გუბერნიების უძრავ მამულებზე გასცეს სესხი და გირაოს ფურცლებიც, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს, იმდენი გამოსცეს.

გასულ წელს ბანკში დაგირავებულა სულ 44 მამული; ამათში 23 გრძელის ვადით და 21 მოკლეს ვადით.

ბანკის არსებობიდამ გრძელ ვადიანი სესხი გაცემულია სულ—1,966,100 მანეთისა, რომელშიაც დაგირავებულია 229 სოფლის მამული (945,300 მ.) და 97 ქალაქის მამული (1,020,800 მანეთში). მოკლე ვადიანი სესხი ბანკის თავის არსებობის დაწყებიდამ სულ 111 გაუცია 187,915 მანეთისა.

შარშანდელის წლის ოპერაციებიდამ ბანკს დარჩენია წმინდა მოგება—25,979 მან. და 15 კაპ.

ძირითადი თავნი ფული ბანკის გახსნის დროს იყო—255,584 მან., წელს 1 იანვარს იყო—288,828 მან.; ამას გარდა სათადარიგო (ზაპასნი) კაპიტალი—14,972 მან. საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი კაპიტალი—12,881 მან. და უჩვეულებრივო შემთხვევისათვის შენახული

«დროების» ფელეტონი, 28 აპრილს.

### ხმა მთიდამ.

(სურათი)

ფშავის ხევი. დილით ეს იყო ქუქუნა წვიმამ გადაიღო... დაღონებული ვიჯექ ჩემს ოთახში და შევყურებდი თავზედ წამოყუდებულს ფერდს, რომელზედაც ჯერ ისევ შავად ეფინა ტყე. ათასში ერთგან გაშლილიყო არყი და ტყემალი თეთრად აჰყვავებული აქა-იქ მთის კალთებში აჩენდა თავს. ეს ორი მეტიჩარა მცენარე თითქო ერთმანერთს ეკრიჭებოდნენ და დაცინვით უჩვენებდენ გაბარჯღულ ამაყალ მდგომ მუხაზედ: „—ჩვენ კი საქორწილოდ ვიმოსებით და ეგ სალოდავი კი ჯერ გაყინულ გაქვავებული და დაღვრემილი თავის ბედსა ტირისო“.

გზაზედ, რომელიც მიიკლაკნებოდა პირ-ალმე და იმალებოდა ტყის სიბნელეში, პატარა ფშავლის ბალანაებს მიუდიოდათ საქონელი; გადაეხვიათ ხელი და მიიმღეროდენ (ჯერ, ეტყობოდა, იმათ ცხოვრების სიმწარე არ ენახათ).

„რა კარგია კაი კაცი,
კარგს ანდეზედ აგებული,
სოფელი ჭყავ მადრიელი,
სწორის გული მოგებული.“

მერე გააბეს ბანი და დამღერეს უფრო მაღალი ხმით:

„შვიდს ძმათა, მერვეს ბიძასა
მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა:
შვიდთავ ვესროდეთ შვიდ-შვიდი,
ვეფხვს არც ერთ არ მოეკიდა;
ესროლა ბერმა ბიძამა
ვეფხვი პწკლით ჩამეეკიდა.
ნეტავ ჩვენ თოფ-იარაღნი
ჭალას მურყანზედ დაჰკიდა;
ანამც გვაქცია ქალადა
უნდაურ ქმრებიმც აგვკიდა,
ანამც გვაქცია ხუცადა,
ყელზედ ოლრები დაგვკიდა.“

ამ სიმღერის და პოეზიის შექცევაში გახლდით, რომ უცებ ვიღამაც კარები შემოახეთქა. ფიქრებ გატაცებულს ცოტა არ იყოს შემეშინდა და შევკრთი. მოვიხედე. კარებში შემოყუდებულიყო მაღალ-მაღალი, წითლად და ყვითლად აჰყვავებული ხევსური. ხომ კარგათ იცით, უფარუხმლო არ იქნებოდა. ცალს მხარეზედ ეკიდა შემჭვარტლული გაშავებული ფარი; მეორეზედ თითბრით შესალტული ხმალი; თავზედ, მარტო კინკრიხოზედ ქუდის მზგავსი ბეწვგაყრეინებული ჯიხვის ტყავი ჩამოეცო.

ვაჟ-კაცი ლომად შექმნილი იყო. მაგრამ ძალიან გატეხილი სახე ჰქონდა; თვალებს უცხოვლოდ ავლებდა აქეთ-იქით. სწორეთ ამაზედ ითქმოდა შოთას სიტყვები:

„ანუ ეგრე რამ დაგლაა, ანუ პირველ რამ აგავსო“.

წინა-პირველათ ვერ დავინახა, თუმც თავის ცანცარით მათვალიერებდა. მე თვითონ ავდექ და მივედი კარებში. რა დამინახა რუსულ ქუდში, მაშინვე ქუდი მოიხადა.

— ბატონ აღლევრძელას ღმერთმა.

მეც ღირსეულათ მივუგე.

— შენ ხარა უჩიტელი?

— მე სწორეთ! ვუთხარი, თუმც კი ტყუილათ.

ფული—6,556 მან. სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელად ბანკიდამ მიცემულია სულ —14,154 მან.

ამ ანგარიშის თაობაზე არავინ არავითარი შენიშვნა არ წარმოადგინა და ამიტომ კრებამ ხმა ამოუღებელად მიიღო ის და დაამტკიცა.

თავსმჯდომარემ კ. ქ. მამაცოვმა წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა ახლად-მიცვალებულ ხელმწიფე იმპერატორზედ, თუ რა მწყალობელი იყო ის ჩვენი თავად-აზნაურობისა და რამდენი სარგებლობა მოუტანა ბანკს იმის გულ-უხვობამ (150,000 მან. შესწირა თავნ ფულად) და სხვ. და ამის შემდეგ წინადადება მისცა კრებას, რომ იმ 9,000 მანეთიდამ, რომელიც საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელად რჩება წელს ბანკის წმინდა შემოსავლიდამ, 1000 მან. შევსწიროთ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახელობაზე რომ თფილისში ყმაწვილების თავ-შესაფარი სახლი (პრიუტი) იმართებაო.

კრება ერთ-ხმად დათანხმდა ამ წინადადებაზედ.

ამ ნაირად საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი ფული ბანკის წლევანდელ მოგებიდამ დარჩა სულ 8,000 მან., რომლიდამაც, ზედამხედველ კომიტეტის წინადადებით, 1000 მან. უნდა მიეცესო შესაწევნელად ქართულ თეატრს, და 1000 მან. თელავის წმ. ნინოს ქალების ზავედენიას და დანარჩენი 6,000 მან. თფილისის სააზნაურო სკოლას იმ პირობით, რომ თუ ამ სკოლას კიდევ დასჭირდებოდა შემწეობა იმ ფულიდამ ისესხონ (3,000 მანეთიდამ), რომ სოფლის გამსესხებელ-შემნახველ ბანკებისათვის არის გადადებული.

დიდი და თფილისის კრებებში უჩვეულებრივო ბაასი ატყდა ამ საგნის შესახებ.

ბ. შაქრო მაღალაშვილის აზრით, თეატრი და ზავედენია, თუმცა კარგი და სასარგებლო რამ არიან, მაგრამ ყველაზე პირველად ჩვენი მოვალეობა ის არისო, რომ ჩვენი სააზნაურო სკოლის მოთხოვნილება და საჭიროება დავაკმაყოფილოთ, და შემდეგ, თუ რამე დაგვრჩება, სხვებსაც დავეხმაროთ.

თ. კოსტა აბხაზიც ამ გვარსავე აზრს წარმოთქვამს: დიდი საჭიროება არის ჩვენს საზოგადოებაში განათლებისა და ყველაზე უწინარეს ამაზე უნდა ვიზრუნოთო.

ზედამხედველ კომიტეტის წევრი თ. ნაპ. ამატუნი ამბობს, რომ სააზნაურო სკოლისათვის წელს 8,000 მანეთის მეტის გადადება არ შეგვიძლიან, რადგან მეტი ფული არა გვაქვს და ეს რვა ათასი მან. მაინც არ მოაკლდება სკოლასაო, რადგან ახლა, მართალია, 6,000 მან. ვაძლევთ, მაგრამ, თუ დასჭირდება კიდევ, 3,000 მან. შეიძლება სოფლის ბანკებისათვის გადადებულ ფულიდამ ვისესხოთო.

გამგეობის წევრი თ. დ. ი. ავალიშვილი აცხადებს სურვილს, რომ რა გავფანტოთ ის ცოტა ფული, რომელიც დაგვრჩენია წელს ბანკის მოგებიდამაო; ყველაფერს ვერ დავეხმარებით ამ ფულით, თეატრს ბევრს ვერას შევეწევით, სჯობს ისევ სულ სააზნაურო სკოლას მოვახმაროთო.

თ. რაფ. ერისთავი ამბობს, რომ თეატრი იგივე სკოლაა და საზოგადოების გამწრთვნელი დაწესება; ამ აზრით ხელმძღვანელობდა შარშანდელი ბანკის კრება, რომელმანც 3,000 მან. გადასდვა ამ საგანზედაო. და თუ ახლა, როდესაც თეატრის საქმეს, დრამმატიულ საზოგადოების დაწესებით, უფრო მკვიდრი საფუძველი მიეცა, არ შევეწიეთ, ამ შემთხვევაში ჩვენი თეატრის საქმე შეიძლება უკულმა დატრიალდეს და ის 3,000 მანეთიც ტყუილ-უბრალოთ დაკარგული იქნებაო.

თ. გ. მ. თუმანოვის ჰაზრით, ერთად-ერთად საზოგადო დაწესებულება ჩვენში არის ლიტერატურა და თეატრი; სხვაგან ვერსად გამოვსთქვამთ ჩვენ-ჩვენს გაჭირებას და მოთხოვნილებასაო. ამის გამო რითაც ხელი შეგვიძლია, თეატრს ხელი უნდა მოუმართოთო. ათასი მან, მართალია, დიდი ფული არ არისო, მაგრამ ამ ფულით თეატრს მთელის წლის განმავლობაში ცოტ-ცოტა შემწეობა მიეცემაო და სკოლას კი ათასი მან. ბევრ ვერაფერს დაეხმარებაო. სირცხვილი იქნება საზოგადოებისათვის, რომ ეს ცოტ-ცოტა დახმარება არ აღმოუჩინოთ ჩვენს სამშობლო თეატრსაო...

თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ეს საგანი საკმაოდ გარკვეულია და ახლა კენჭის-ყრა მოხდესო.

კრებამ კენჭის-ყრით (ერთის ხმის უმეტესობით) გარდაწყვიტა, რომ ქართულ თეატრს და თელავის წმ. ნინოს ზავედენიას მიეცეს ათას-ათასი მანეთი.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

## ახალი ამბები.

—

წუხანდელმა (კვირის) ქართული წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ჯერ ისეთი დახელოვნებული ტრუპპა არა გვყავს, რომ უცხო ენიდამ გადმოთარგმნილი და უცხო ხალხის ცხოვრების გამომხატველი სერიოზნული კომედიები ანუ დრამმები წარმოადგინოს. სწორედ ამ ნაირია ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ და ამიტომ ჩვენი ტრუპპის ხელში ეს კომედია როგორღაც უფერულად გამოვიდა. ამას ზედ დაერთო კიდევ სუსტი თარგმანი პიესისა, რომლის წყალობითაც ზოგიერთი ალაგები სრულიად გაუგებარი დარჩა ქართველის ყურისათვის.

მოთამაშეებმა რამდენათაც შეიძლეს კარგათ შეასრულეს თავ-თავის როლები. განსაკუთრებითის თანაგრძნობით მიიღო საზოგადოებამ ქ. ყიფიანი (იუსოვი), ნ. გაბუნიასი (კუკუშკინისა) და მ. საფაროვისა (იულინკა). ა. ლორთქიფანიძე ვიშნევსკის როლში და მოხევე შადოვის როლში ურიგო არ იყვნენ, მაგრამ ან. ლორთქიფანიძეს ამგვარ დარბაისელ მოხუცებულ კაცების როლებისათვის ერთი ნაკლულევანება აქვს: ერთობ ჩქარა, არა-დარბაისლურად ლაპარაკობს ასე, რომ ზოგჯერ მთელ სიტყვებსა და ზოგან სიტყვის ბოლოებს ყლაპავს.

ბ. ნოდარ ჯორჯაძეს სრულებით არ ესმის დოსუჟევის ჩინებული, ტიპიური როლი. კარგი იქნება რომ მგელოვის ქალს ქართულ სცენაზე არ დავინახვიდეთ, ერთობ უსიმპატიო მოთამაშეა.

* * *

ქალაქის რჩევამ თავის უკანასკნელს სხდომაზედ სხვათა შორის გარდაწყვიტა, რომ საქალაქო ახალი სისტემის ფურნე, რომელიც ინჟინერმა რაკინტმა გამართა ქალაქის ხარჯით, იჯარით, მიეცეს ამ რაკინტსა სტოცკის და ამხ., რადგან ამათგან წარმოდგენილი პირობებით, ამ ფურნეში გამომცხვარი პური უკეთესის თვისებისაც იქნებაო და უფრო იაფათაც გავყიდითო.

* * *

გაზ. „თფილისის განცხადებებს“ გაუგონია, ვითომც ბ. ყორღანოვს შეეტანოს ქალაქის რჩევაში წინადადება, რომ თუ ქალაქი ათას-ხუთას-თუმანს მასესხებს ათის წლის ვადით, სუფთა, წმინდა წყალს გამოვიყვან აუზებიდამ და დანიშნულ ფასად გავიყვან ყველა ქუჩებში და სახლებშიო.

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ სამი ფანარი დადგეს აქ ქუჩებშიო; მაგრამ ერთი ამათგანი ფურგუნმა წააქცია და მას აქეთ ისე აგდიაო და დანარჩენი ორიც დიდი ხანია აღარ ინთება ასე, რომ დედაზარდალთ მათში აბლაბუდეები გაუბამთ და თავიანთ ბუდეებათ გაუხდიათო.

* * *

ქუთაისიდამ შემდეგ საყურადღებო ამბავს გვწერენ:

„მოგეხსენებათ, რომ ახლანდელი საქალებო გიმნაზიები თავის პროგრამმითა და დანიშნულებით უფრო სამასწავლებლო სემინარიებსა და ინსტიტუტებს გვანან, რადგან აქ კურსშესრულებულ ქალებსაც მხოლოთ ერთი გზა აქვსთ—მასწავლებლებად გაწესდნენ.

---

— პურ ან ფულ ხო არ გექნებისთ გირაოზედ გასატანი?

— რა გირაო?

— ფარ-ყმალ წამაეიტანე თუ გექნებ, ჩემო უჩიტელო, ნუ დამიზოგავ, სთველ მოგიღებ ისივ; შენზედ მეტს კაცს მე აქ ვერ ვღნახავ, ჯალაფნ მეხოცებიან შიმშილით...

როგორცა სჩანს ძლიერ გასჭირებია ხევსურს, თორემ ფარ-ხმალი, მართლაც, რამ გამოატანინა სახლიდამ დასაგირავებლად.

— მერე რაში ვამოვიყენო ეგ შენი ფარ-ხმალი?

— რაშიდ, იმაში, გაგონელ გექნების რეულობაი... პა ფრანგული, აბალეი ნახე, ისეთ სჭრის ძვალს, როგორც ი საპოხს.

— კარგია, მაგრამ მეც თვითონ შიმშილითა ვკვდები, შენ რა უნდა მოგცე.

ამ ლაპარაკში შევიპატიჟე სახლში და ვკითხე:

— რატომ მთავრობას არა სთხოვთ, რომ ხარჯი შეგიმსუბუქოსთ-მეთქი?

— კი ვთხოვეთ... ღმერთმ დაუმადლას ჩვენ ნაჩალიკ აფ—ს, კა კაცი, ბეჩავ კაც ებრალების, თითო თუმან ფულ დაგვირიგ კომლზედ თავის ხელით; მაგრამ ვერა სულ მოიდგით. ვერას გავხდით.

ხევსური გაოცებით ავლებდა თვალებს აქეთ-იქით. ფანჯარაში „დროების“ ნომერი დაინახა, აიღო ხელში. გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ბოლოს მკითხა:

— გაზეთ ხო არა ეს?

— არის.

— რა ამბავ გაიგონებ, ჩემო უჩიტელო, გაზეთჩიგ სუყველა იქნების მოხსენებული. რა კაც იყვ ხემწიფის მამკლავი, რა ჯაერ სჭირები ისითაი, რო გაუმეტებავ?.. ან ჩვენ ამ გლეხ კაცს არა შილავათ მაგვეცემისა? ხმა კია აგეთაი...

— შეიძლება, ვგონებ უნდა...

ბევრი ვილაპარაკეთ. ბევრი კარგი სთქვა ხევსურმა. ბოლო დროს, როდესაც დიდ ბობოლებზედ გადავედით, ხევსურმა, უცებ თვალები გააჩერა კედელზედ: კედელზედ მეკიდა გრაფი N-ს სურათი; წარბებს დასწია და უცებ, თითქო იპოვნა რამეო, გაექანა სურათისკენ.

— იჰი, აბა ამას რა სიკვდილი მიუდგება, სახელ გასუქებული ვაჟებს, სახელ გატყუებულა—თქვენი ჭირიმეთ, რა რიგ გაქოსმანებულია! სხვა კი არა მინდოდ, შენ თავიმც მომიყვანა თიბა-მკაში იქ გლნახევდი რახელ ვაჟიცა ხარ შენ...

ამ ლაპარაკში თითქო მოაგონდა რამეო, უცებ მობრუნდა...

— მაშ ეგრე, უჩიტელო?.. ჯვარ გეწერასთო, სთქვა და გავარდა კარში, მარტო ერთი ხმლის წვერს-ღა მოვკარ თვალი, როდესაც კარებს მოახვედრა.

ხევსური აღარ დავაბრუნე, რადგან მეჩქარებოდა და ხატობაში (აღდგომა დღე იყო), ხალხი სასაფლაოზედ მოგროვილიყო, ყველა თავის ნათესავების საფლავს დასტრიალებდა. დედა კაცებს მოეტანათ ტაბლები და წამოყუნტებულიყვნენ სასაფლაოზედ. აგერ ერთი ბებერი თავ-შიშველა, მხოლოდ შუბლზედ აქვს შემოკრული ხელსახოცი. გახვეულა გამჭვარტლულ ტყავში და პირიასაებ მობუზული მისჯდომია და ჩასჩერებია საფლავს. ბებერი ტირის, ცრემლი შხაპუნით ჩამოსდის და გუბდება ხონჩაზედ—რომელზედაც ერთი ხმიანდი მეტი არაფერი ძევს. ზოგი გადადი

„ამიტომაც ქართულ ენის სწავლებას ჩვენს საქალებო სასწავლებლებში დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

„საუბედუროთ ამას ვერ ვხედავთ ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში: ეს მასწავლებელი პირველის კლასიდამ დაწყებული ვიდრე მეშვიდე კლასსამდინ, დიდსა და პატარა შაგირდებს, ყველას მხოლოთ „ვეფხვის ტყაოსანს“ აკითხებს. მაგრამ რა ნაირად აკითხებს! ადგება ერთი მოწაფე, დაიწყებს კითხვას და ერთი სტრიქონიდამ მეათეზე გადახტება როგორც მოგეხსენებათ ყმაწვილების ცელქობა. არც ქართული გრამმატიკა, არც ძველი და ახალი მწერლობა. ქართულ ენის გაკვეთილის დროს მოწაფეები სიცილით, ხუმრობით და მუსაიფით შეექცევიან, უფრო მუყაითნი კი ამ დროს სხვა გაკვეთილებს ამზადებენ. მასწავლებელი კი თავ დახრილი მოკრძალვით ელრიჭება მოწაფეებს, თითქო ეშინიან-არა მცემონო!..

რა უნდა ისწავლონ მოწაფეებმა ამისთანა მასწავლებლის ხელში?

* *
*

დღეს, საღამოს 8 საათზე, იქნება მეჩვიდმეტე სხდომა „ვეფხის ტყაოსნის“ რედაქციისა.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემის თავის გასამართლებელს წერილს თქვენს გაზეთს „დროებაში“ მიჰსცეთ ადგილი და მით მოგცეთ თავის გამართლების საშვალება.

„დროების“ მე-32 №-ში სოფ. ვაჩნაძიანიდამ ცნობაში სხვათაშორის მოხსენებულია:

„სოფ. ვაჩნანძიანში ოც სულამდე მოკვდა საოფლითაო და მესამედი მათგანი-უზიარებელიო.“ ეს ცნობა მთლად სიცრუეა: საოფლე, ანუ სახადი, სოფ. ვაჩნანძიანში სამს ოჯახში იყო: ორის გლეხის და ერთის თავადის ოჯახში; სახადით გარდაიცვალა სულ სამი (და არა ოცი) ადამიანი: თ. Ივ. ჯანდიერი, გლეხის მარჩილაშვილის ქვრივი და ქალი; ყველა ესენი მე ვაზიარე და არამც თუ ესენი, ჩემს მრევლში არც ერთი ადამიანი არ გარდაცვლილა უზიარებელი ჩემის უდარდელობითა და შიშითა. ბ. კორრესპონდენტს უნდა გავაგებინო, რომ მღვდელთ კანონი სასტიკად უკრძალავს უგონოდ ჩავარდნილის ავადმყოფის ზიარებასა. მაშ რაღა ყოფილა წმ. ზიარება, თუ ადამიანი სასოებით არ მიიღებს?! თუ ავადმყოფს გრძნობა აღარა აქვს და მღვდელს მაშინ-ღა შეატყობინეს, მღვდელი კანონის ძალით ვერ აზიარებს და ნუ თუ ამ შემთხვევაში მღვდელი ვასაკიცხია-„უზიარებელს ჰხოცავსო!?“

Ისიც ცილის-წამებაა ჩემზედ, ვითომც მე ტყუილი მცოდნია: „სახადისა ეშინოდა, სახლში ვერ შედიოდა და ტყუილად ეუბნებოდა ხალხს უაღსარებოდ ზიარება შეუძლებელიაო“, ამბობს კორრესპონდენტი. აბა დამისახელეთ: რომელს ოჯახში დამიძახეს საზიარებლად და არ წავედი? უაღსარებოდ ეზიარება და მიზიარებია კიდეც; მაგრამ ვაზიარებ მხოლოდ იმისთანა ავადმყოფს, რომელსაც ენა ჩავარდნილი აქვს და გრძნობა კი ისევა აქვს; რომელიც ხელით ან სხვა მოძრაობით ისურვებს წმ. საიდუმლოს მიღებასა.

„დროების“ მე-69 №-ში უფრო ვრცელს გონიერებას და სამართლიანობას იჩენს ბ. ვაჩნაძიანელთ გულშემატკივარი: სამრევლო ეკკლესია განაახლა თავის ხარჯით ერთმა თავადმა და შესწირა საკმაო ეზო და გზაო... მღვდელს არ ეპიტნავა ამ თავადისაგან ეზოს შემოღობვა, რადგანაც მის ნახირს აღარ შეეძლო თავისუფლად სეირნობა და მღვდელსაც მოესპო შემოკლებული გზაო“.

რომ ეკკლესიას არა აქვს საკმაო ეზო და მარჯვე გზა-ამას მთელი ვაჩნაძიანი აღიარებს. Ერთად-ერთი გზა არის თ. Ივ. ჯანდიერის სახლისა და არა ეკკლესიისა. Თუ ეკკლესიას ეზო ჰქონდა და გზა, მაშ 1867 წ. ყოფილმა ექსარხოსმა ევსევიმ რაზედ და რისთვის შეახურა „შემწირველი“, რომელიც გახურების შემდეგ დაჰპირდა საკმაო ეზოს მიცემასა, მაგრამ კი არ მიჰსცა. Ეს მტკიცდება მით, რომ, როდესაც 1874 წ. ხალხმა მოინდომა ეკკლესიის ეზოს შემოღობა, გამოვარდა „შემწირველი“ და კინაღამ მღვდელი ხანჯლით აკუწა—„შენ ჩააგონებდიო“.., „ეზო და გზა აქვსო“. სადა აქვს გზა, როდესაც ხალხს თ. Ივ. ჯანდიერის ათის ქოფაკის ძაღლის შიშით ვერ ჩაუვლია ამ ვზაზედა? სად არის ეზო, როდესაც ეკკლესიიდამ სამი-ოთხის საჟენის მანძილზედ მთელი მთაა დაყენებული „შემწირველის“ გომურიდამ გამოტანილის საქონლის პატივითა, რომლის წვენი ავდრიანობის დროს ეკკლესიის კარებზედ მიდის?! ნუ თუ ეკკლესიის ეზოდ ჩაითვლება ის ადგილი, რომელზედაც დათარეშობენ „შემწირველის“ საქონელი, ცხენის ჯოგი, ღორი და ძაღლი, რომელთაგან მოსვრილი და გადათხრილია მთელი ეზო თვით ეკკლესიის კედლებამდინ?! რათ უნდა ხალხს ეკკლესია, თუ-კი თავისუფლად ვერ შევა მის ეზოში და ვერ შესვენებს თავის მიცვალებულსა?... Და განა ეკკლესიის ამ გვარს უპატიურობას თვით ხალხი ვერ ჰხედავს?! ნუ თუ გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ხალხმა მოინდომოს საზოგადო, მშვენიერის ამიდასტურის ეკკლესიის განახლება?!...

მე სრულიად უარ-ვჰყოფ იმას, ვითომც მე საწერ-კალამი ამეღოს ხელში და ხალხს ძალად ვაწერინებდი ხელს ამიდასტურის განსახლებლად. Ეს სრულიად ტყუილია; მე-კი არა თ. Ილ. ჯ-რმა და ვლ. ჯა-რმა შეადგინეს ოქმი ხალხის მაგიერად, რომელთაც აწერინებდნენ ხელს მუქარით: „ათ-ათის თუმნით ვერ მორჩებითო, ტყე-მინდორში არ შეგვიშვებთ“, თუ ხელი მოაწერეთ განახლებაზედო! მართლაც, ზოგთ შეეშინდათ ამ მუქარისა და ხელი მოუწერეს—„ვერ განვაახლებთო“. Და გლეხთ, როგორ არ შეეშინდებოდათ, როდესაც ამ საქმის შესახებ ყრილობაში ბლაღოჩინის თანადასწრებით თ. ვლ. ჯ-რმაც მუშტის კრივი გამართა ერთს თავის მოძმესთან, რადგანაც ეს უკანასკნელი „განახლების“ აზრისა იყო?!... „განახლების აზრისა ერთი მეოთხედიც არ არის ვაჩნაძიანელთაო„-ტყუილია. Და რომ მომეტებულს ნაწილს სურთ ამიდასტურის განახლება, ეს თვით იქიდამაც სჩანს, რომ სოფლის სასამართლოჲ შეამოწმა ოქმი განახლების შესახებ. Და თუ წინაალმდეგთაც შედგენილი ოქმი არ დაამტკიცა სასამართლომ,—ეს ჩემის შიშით და რისხვით-კი არ მოხდა, არამედ მიტომ, რომ წინაალმდეგთა რიცხვი ფრიად მცირე იყო და ამათი ჰაზრი არ იყო „სოფლის საზოგადოების აზრი.“ Თუნდაც რომ ვსცდილობდე ეკკლესიის განახლებისათვის, ნუ თუ ამისათვის გასაკიცხი ვარ? ნუ თუ მღვდელი არ უნდა სცდილობდეს ეკკლესიის გამშვენებას და განახლებასა? მე მგონია, რომ ეს ჩემი პირ-და-პირი მოვალეობაა და თუ ბ. ვაჩნაძიანელთ გულშემატკივარი მიწყრება მე—ეს ხალხის გულ-შემატკივრობით-კი არ მოჰსდის, სხვა რაღაც განზრახვა აქვს, რომლის გამოთქმაც მას პირ-და-პირ ვერ გაუბედნია და რომლის გამოაშკარავებაც სასურველია.

საკვირველია, ღმერთმანი: ადამიანი საქმით ყელში უჭერს გლეხსა, ტყავს აძრობს მას და ესვე ადამიანი გამოდის ქვეყანაში და ყვირის-„მე ხალხის გულ-შემატკივარი ვარ, ხალხს არავის დავაჩაგვრინებთო!“ Დიაღ: ფიცი-კი მწამს, მაგრამ რა ვქნათ რო ბოლო მაკვირვებს!..“

სოფ. ვაჩნაძიანის მღვდელი
ლაზარე აბრამოვი.

## მ წ ე რ ლ ო ბ ა.

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეთექვსმეტე სხდომა რედაქციისა 24 აპრილს)

ნაადგომევს, ამ ახალ გამონაზამთრზე და ნადღესასწაულზე ცოტა ხალხს ველოდით სხდომაზე, მაგრამ

---

და რეცხავს საფლავის პირებს. წმინდა სანთელი საბრალოთ ბჟუტავს, ხან მიაწყვეტს ალს საფლავის ფეხთით და ხან გადასწევს... აქ წვერ-თეთრა მოხუცებული დასტირის თავის შვილის საფლავს და ჩაეუბნება თავის გასაჭირს, წავ-დაგვას, მაინც რა უნდა ქნას: დღეს თუ იტირებს, თორემ როდისღა? წავა, შეძვრება ერთს ულრან ტყეში ან ხევში და თავს აღარ გამოჰყობს. ამ დღეს მაინც უნდა დაუსველოს და დაუამოს გული თავის შვილსა.

საკვირველი ის არის, რომ ზოგს ლუკმა პური არ აქვს, ჩიჩქი ხორცი არა აქვს პირი გაიხსნას და აქ ტაბლას მოარბენინებს!

Ო, ჩვეულებავ, რა ხარ? შენა ხარ პირველი ბუნებით კანონი, კაცის გულში იდგამ ხოლმე თავიდამვე ფესვებს და იმიტომაც გაქვს ევრეთი ძალა. ჭაცმა აზრი თავის ცხოვრების წინ გააქცია, დააწინაურა, შენ კი წინ მოიგდე კაცი და ზურგში მათრახის ცემით მიარბენინებ; შენზედ ძლიერი არა მოვლენა არ არის კაცის ცხოვრებაში...

საწყალი ჩვენი ხალხი იმდენს ცოცხალზედ არა ხარჯავს, რამდენსაც მკვდრებზედ. „სული კითხულობსო!“ Იტყვის ფშაველი. „მოვა ღამით, თვალს დაგვავლებს, და გულს დააკლდება ჩვენ რო ვსჭამდეთ და იმას კი არ უზიარებდეთო!“ Ცრუ მორწმუნე დედაკაცი ჩაუჯდება შუაში თავის ამქრებს და დაუწყობს:

— წუხელის, დაო, შარაზედ სულთ ჩამაიარეს და მაიმღეროდენო: „არას ყურს გვიგდებთ ხორციელნო!.“

ამის ახსნაში გავები და მღვდელი და დიაკვანი კი დამავიწყდა: ეს ორი ხალხის სულის ყარაული დარბოდა ფაცა-ფუცით. მღვდელი „აკურთხეს“ და დიაკვანი „უფალო, შეგვიწყალეს“ ძალიან მოხდენით ამბობდენ. Ორივე ნერწყვასა ყლაპავდა, რა დაჰყურებდა ტაბლასა. Დიაკვანმა ვეღარ მოითმინა და დაავლო ხელი ქადას, რომელიც სიდიდით ერჩეოდა, გასჭრა, გულმა ეღარ მოუთმინა და ერთი კარგა მადიანათ უკბინჩა და—„Იჰ იჰ, შენი ჭირიმე ფშაურო ქადავ,“ თანაც დააყოლა. ხუცესიც შექივქლივებული გახლდათ და უსომდა, თას-თასზედ, წითელ კახურს: „უფრო კარგა ვიტყვი, შვილო, ყელი ამომეხრაწა!„ არც კი არაყსა სწუნობდა: „მთა ადგილია, შვილო, ცივა, ბეჭებში შემცივდა, შვილო, თუ ცოტა არაყი არ დავლიე.“

სომხებსაც (ახლო მედუქნეებს), როგორც მელას ლეშზედ, მოეგნოთ ტაბლის სულზედ...

ახლა კი, გაგიხარიან, ეფერებოდენ ხალხს და სულ „დობილ“ „ძმობილობით“ უქონავდენ თავსა.

ხალხი, რასაკვირველია, უარს ვერავის ეტყვის, ყველა უნდა მიიღოს, ვინც ესტუმრება, რადგან ჩვეულებათა აქვს. ქადის ნაჭრებით იმათაც დაივსეს კალთები და უბე-ჯიბეები. Ახლო ლობეზედ, რომელიც საყდარს ჰქონდა შემოვლებული, ბეღურა ჩიტები ისხდენ: დრო-და-დრო ისინიც აიშლებოდნენ და ჟივილით დაეცემოდენ ხოლმე ასაკენკად ქადის და პურის ნამცეცებს.

აი, გლეხო, შენი სტუმრები: მღვდლები, დიაკვნები, სომხები, ჩიტები, თაგვები და სხვ.

Იშრომე, ღვარე ოფლი და მაგათ კი ნურაფერს დააკლებ!

ლ. რ—ზ...

ყრილობა მოულოდნელათ განცხოველებული და მრავალ-წევრიანი გამოდგა.

უჩვეულო სტუმართაგან ამ სალამოს ყრილობას დაესწრო კნეინა ალექსანდრა მაკ. მელიქოვისა.

თავმჯდომარეთ იყო თავ. რ. დ. ერისთავი.

ბაარჩიეს... მაგრამ სანამ ჩვეულებრივ ანგარიშს შეუდგებოდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ მცირე ცვლილება უნდა მოვახდინოთ ამ ჩვენს პროტოკოლებში. ეს ცვლილება შეეხება ვარიანტების ბეჭდვას. ვარიანტები გაზეთსაც ბევრ ადგილს ართმევს და თქვენ მორჩილ მონასაც შრომათ ულირს და სარგებლობაზე კი არავისგან სიტყვაც არა გვსმენია. ამისათვის ეს ვარიანტები მარტო პოემის გამოცემაში იქნება შეტანილი და აქ გაზეთში კი არ დაიბეჭდება. შეიძლება სადმე პეტერბურლის მანსარდზე, ან ლეჩხუმის მთებში ვინმესთვის საინტერესო იყოს ამ ვარიანტების კითხვა და იწყინონ ეს ჩვენი განზრახვა, მაგრამ, ბრალი მათ, რათ გაყურჩებულან ეს დალოცვილები და ერთი ორი სიტყვა არ მოიწერეს ან ავი, ან კარგი... თუ საჭიროება მოითხოვს, წიგნის გამოცემის წინათ ცალკე დამაკებათ დავბეჭდავთ „დროებაში“ ამ ვარიანტებს... მანამდის კი ვარიანტების ბეჭდვას თავს ვანებებთ.

ბარჩევა დავიწყოთ ამ უკანასკნელის წინა სხდომიდამ, რადგანაც იმისი ანგარიში არ დაგვიბეჭდნია.

თავი X

| ხაზ. | დაბეჭდილია | | გასწორდეს |
|---|---|---|---|
| 35 | მოგებების | — | მოგებებვის |
| — | ვით | — | მით |
| — | გცემენ | — | გცემდენ |
| 36 | მეცა | — | მემცა |
| 38 | გავენდევ | — | გავანდევ |
| — | თუცა გზა | — | გზა თუცა |
| 43 | ტანსა | — | ტანთა |
| 44 | რა თქვენთვის | — | რა თქვენად |
| 46 | მათდა | — | მათად |
| 50 | სადამოს ჟამს | — | სადამო ჟამ |
| 51 | გცნოთ | — | ეცნათ |
| 56 | მქებნელთა | — | მებრძოლთა |
| 57 | შემიგნია | — | შემიგიან |
| 59 | ჩემს წინაშე | — | ჩემსა წინა |
| — | რასამცა ვით | — | რასმცა ვითა |
| 60 | მომართვეს | — | მომართვნეს |
| 61 | ცნობასაცა | — | ცოდნასაცა |

თავი XI

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სვემცა არს | — | სვემცა ა |
| 2 | დავიურვე | — | დავიავრე |
| — | ვჭუავრე | — | ვჭუავ-რე |
| 8 | მევკადრე | — | მე ვკადრე |
| — | უუავით თქვენცა | — | თქვენცა უუავით |
| 9 | ხარაჯი | — | ხარაჯა |
| 11 | ხანია | — | ჟამია |
| 12 | მიველ | — | მივე |
| 20 | მოვსწუვიტნი | — | მოვსწუვიდნი |
| 23 | სულეო | — | სულ ელთო. |

მეათე თავის მე-37 ხაზი: მას კაცსა დია უმუქვე... ვარიანტში იქნება ჩატანილი.

შემდეგი სხდომა იქნება დღეს, სალამოს რვა საათზე.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი

ვისაც აქვს ძველი ქართული წიგნი „ჯვარ-შემოსილი“, უმორჩილესად ვსთხოვთ წარმოადგინოს რედაქციაში. ერთს სამღვთო წერილის მოყვარეს ჰსურს იმის დაბეჭდვა. დაბეჭდვის შემდეგ წიგნი პატრონს დაუბრუნდება და რამდენიმე დაბეჭდილი ეგზემპლიარიც მიეცემა. (3—1)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიიკებისა, მოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანას იგარები. (100—53)




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაკიის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინსა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმარონ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—3) გ. კარპინსკი

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კონნო-ჟანდარმის კამანდისათვის საჭიროა სადგომი ვერაზე, შვიდი ოთახი, თავის სამზარეულოთი, სარაით და ეზოთი 400 ოთხ-კუთხ საჟენით, ექვსი წლის ვადით. სადგომის ქირას ქალაქი 850 მანეთს მისცემს წელიწადში.

მსურველს შეუძლია მიმართოს ქალაქის გამგეობაში (უპრავაში) მუდამ დღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ გარდა უქმ. დღეებისა. (3—2)

### წლიური ანგარიში

კავთისხევის შემნახველ-ამხანაგობისა 1880 წლის 1-ს იანვრიდან 1881 1-ს იანვრამდინ

| შემოსავალი: | მან. კ. | გასავალი: | მან. კ. |
|---|---|---|---|
| საწევრო ფული 41 წევრისა — — — — | 789— „ | ნასყიდი საქონელი არის | 3,617—90 |
| მოსაწყობი — — — | 35— „ | ხარჯები დუქნის ყოველნაირი — — — — | 771—23 |
| საანგარიშო წიგნებისა — | 1—30 | კასაში ალმოჩნდა ნაღდათ — — — — — | 337—13 |
| გაყიდული საქონლიდან | 3,600—96 | | |
| სულ | 4,426—26 | სულ | 4,426—26 |

საქონლის ხალასი ანგარიში ამავე დროისა

| | მან. კ. | | მან. კ. |
|---|---|---|---|
| დარჩენილი მაღაზიაში საქონელი — — — | 384.-25½ | საწილო ფული არის — | 789— „ |
| კასაში ნაღდი ფული არის | 337—13 | მოსაწყობი — — — | 35— „ |
| ნისიათ გაცემული არის ხალხზედ — — — | 208— „ | სულ | 824— „ |
| ანგარიშის დროს დახლიდარზედ მიხეილ კანდელაკზედ აღმოჩ. ნაღდი | 134—67 | | |
| საყასბოს საწარმოებლათ არის გადადებული თავნის გარდა —. — — | 100— „ | წმინდა ხალასი მოგება— | 350--65½ |
| სულ | 1,174--65½ | | |

რჩევის წევრნი: თავმჯდომარე და საქმის მწარმოებელი იოსებ ცხვედაძე, დიმიტრი შუშაბერიძე, ტატო მჭედლიშვილი, იობა შაყულაშვილი.

რევიზიის წევრნი: გაბრიელ საყვარელიძე, კანდიდატი თ. გიგო თარხნიშვილი, თ. ივანე ლუკას-ძე თარხან—მოურავოვი. (3—1)

# თბილისის ქალაქ. გამგეობისაგან

თბილის სამოქალაქო გამგეობა მოიწვევს მსურველთა, რომელნიც მიიღებენ თავის თავზედ მოიტანონ და დააწყონ მდ. მტკვარზე გასაკეთებელ რკინის ხიდის ნაწილები. ხიდი უნდა იქმნეს სამ ფერმაზედ, ოთხი რასკოსის სიმეტრიული სისტემისა თავის დასაჭედით, ზევით სატარებელით, ქვის ბოძებზედ; ხიდს ქვეშ ერთი გასავალი იქნება სიგრძით 159 ფუტი ბოძებს შუა. ტროტუარები უნდა იქნეს კრონშტეინებზედ. ფერმების შუა 22 ფუტი უნდა იქმნეს, მოაჯირებს შუა 33 ფუტი, ფერმების სიმაღლე 13 ფუტი და 7 დიუმი. ხიდის ძირი უნდა იქმნეს წყალზედ ამაღლებული $26\frac{1}{2}$ ფუტზედ; სიღრმე მდინარისა 28 ფუტი და 4 დიუმი არის. გაზაფხულის წყალი აიწევს 14 დიუმზედ; შემოდგომის დაიწევს გაზაფხულისაზედ 7 დიუმზედ. გაგრძელდება გაზაფხულის წყლის მომატება თითქმის ორი თვე, შემოდგომის ერთი თვე. წყლის სისწრაფე ერთ სეკუნდში 7 დიუმს შეადგენს, გაზაფხულის წყლის სისწრაფე 21 დიუმსა. წყლის ძირი კლდოვანია. მარჯვენა მხარეზე შენობებია, მარცხენა კი ცარიელი ადგილი

იმ პროექტით, რომელიც სამოქალაქო გამგეობაშია, გამოანგარიშებულია სულ, მოაჯირიც რომ ჩავთვალოთ, რომელიც უნდა გაკეთდეს რკინისაგან, 65,06,25 ფუთი რკინა და 385,29 ფუთი თუჯი. ხსენებული პროექტი შეიძლება ნახოს მსურველმა გამგეობის სტროიტელნი ოტდელენიეში ყოველ დღე.

დაწერილი განცხადება მიიღება გამგეობაში ერთი კვირის განმავალობაში ამ განცხადების უკანასკნელი დღიდამ რომ დავთვალოთ. განცხადებებში უმთავრესად უნდა იყოს მოხსენებული რკინის და თუჯის ფასი ფუთობით მოტანით და დაწყობით, აგრეთვე ამუშების გათავების ვადა. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.